

ჩვენი პოტენციალის მაქსიმუმი: ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კონსოლიდაცია  
ბუქარესტის კომუნიკე

## საბოლოო ვერსია

ჩვენ, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) 47 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე  
პასუხისმგებელი მინისტრები, შევხვდით ბუქარესტში 2012 წლის 26 და 27 აპრილს, რათა  
შევაფასოთ ბოლონიის პროცესის მიღწევები და შევთანხმდეთ ევროპის უმაღლესი  
განათლების სივრცის მომავალ პრიორიტეტებზე.

### უმაღლეს განათლებაში ინვესტირება მომავლისათვის

ევროპა განიცდის ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისს საზიანო საზოგადოებრივი ეფექტით.  
უმაღლესი განათლების სფეროში კრიზისი ეხება ადგავატური დაფინანსების არსებობას და  
კურსდამთავრებულთა დასაქმებას უფრო გაურკვეველს ხდის.

უმაღლესი განათლება წარმოადგენს ჩვენი ამჟამინდელი სირთულეების მოგვარების  
მნიშვნელოვან ნაწილს. მტკიცე და ანგარიშვალდებული უმაღლესი განათლების სისტემები  
ქმნიან ცოდნის აყვავების საფუძვლებს საზოგადოებაში. უმაღლესი განათლება უნდა იყოს  
კრიზისის დაძლევისათვის ჩვენი ძალისხმევის ძირითადი საგანი, ახლა უფრო მეტად ვიდრე  
ოდესმე.

ჩვენ ვალდებული ვართ უმაღლესი განათლებისათვის უზრუნველყოთ საჯარო  
დაფინანსების შესაძლებლობების მაქსიმუმი და გამოვნახოთ სხვა შესაბამისი წყაროები ჩვენი  
მომავალის ინვესტირებისათვის. ჩვენ დავეხმარებით ჩვენს ინსტიტუციებს კრეატიული,  
ინივაციური, კრიტიკულად მოაზროვნე და პასუხისმგებელი კურსდამთავრებულების  
განათლებაში, რომლებიც გვესაჭიროება ჩვენი დემოკრატიების ეკონომიკური ზრდისა და  
მდგრადი განვითარებისათვის. ჩვენ მოწადინებული ვართ ამ გზით ერთად მუშაობისათვის,  
რათა შევამციროთ ახალგაზრდების უმუშევრობა.

### ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე (EHEA) გუშინ, დღეს და ხვალ

ბოლონიის რეფორმებმა შეცვალეს უმაღლესი განათლების სახე ევროპის მასშტაბით.  
მადლობა უმაღლესი განათლების ინსტიტუციების სტაფისა და სტუდენტთა ჩართულობას,  
და მათ მოწადინებულობას.

ევროპის უმაღლესი განათლების სტრუქტურები ახლა უფრო თავსებადი და დასადარია. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს წვლილი შეაქვთ ურთიერთ ნდობაში, უმაღლესი  
განათლების კვალიფიკაციები ახლა უფრო ცნობადია საზღვრებს მიღმა. სტუდენტები დღეს  
სარგებლობენ საგანმანათლებლო შესაძლებლობების უფრო ფართო სპექტრით და არიან  
მზარდად მობილურები. ასე, რომ ინტეგრირებული ევროპის უმაღლესი განათლების  
სივრცის ხედვა ამით მიღწეულია.

მიუხედავად ამისა, როგორც ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ანგარიში გვიჩვენებს, რომ ჩვენ გვჭირდება შემდგომი ძალისხმევა კონსოლიდაციისა და პროგრესისათვის, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მეტი შეთანხმებულობისათვის ჩვენს პოლიტიკაში, განსაკუთრებით სამციკლიან სისტემაზე გადასვლის, ECTS კრედიტებით სარგებლობის, დიპლომის დანართის გაცემის, ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების და კვალიფიკაციების ჩარჩოების იმპლემენტაციის, მათ შორის სწავლის შედეგების შეფასების საკითხებში.

ჩვენ განვახორციელებთ შემდეგ მიზნებს: მიეწოდოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება ყველას, გაიზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმება და განმტკიცდეს მობილობა, როგორც უკეთესად სწავლის საშუალება.

ჩვენი აქტივობები ამ მიზნების მისაღწევად იქნება მუდმივი ძალისხმევა, რათა ეროვნული პრაქტიკა გაუთანაბრდეს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ამოცანებსა და პოლიტიკას, თანაც გამოიკვეთოს პოლიტიკის ის ასპექტები, სადაც შემდგომი მუშაობაა საჭირო. 2012-2015 წლებისათვის ჩვენ განსაკუთრებულად მოვახდენთ კონცენტრაციას უმაღლესი განათლების ინსტიტუციების და დაინტერესებული მხარეების დახმარებისათვის, ცვლილებების განხორციელებისა და ბოლონიის ყველა სამოქმედო ხაზის შესატყვისი იმპლემენტაციის საქმეში.

### ყველასათვის ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიწოდება

ხელმისაწვდომობის გაფართოვება უმაღლესი განათლებისადმი წარმოადგენს სოციალური პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების წინაპირობას. ჩვენ ვთანხმდებით, რომ მივიღებთ ეროვნულ საზომებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოვებისათვის. ჩვენ ვიმუშავებთ სწავლის დამთავრების განაკვეთის ზრდასა და ვუზრუნველყოფთ სწავლის დროულად დასრულებას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ყველა ქვეყანაში.

სტუდენტთა შემადგენლობა უმაღლეს განათლებაში უნდა ასახავდეს ევროპის მოსახლეობის მრავალფეროვნებას. ჩვენ მივმართავთ ჩვენს ძალისხმევას ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისაკენ რათა განვავითაროთ უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტები, შევამციროთ უთანასწორობა და მივაწოდოთ ადეკვატური სტუდენტური დახმარების სერვისები, რჩევები და მეგზურობა, მოქნილი სასწავლო გზა და ალტერნატიული ხელმისაწვდომობის გზები, მათ შორის წინარე სწავლის აღიარება. ჩვენ ხელს ვუწყობთ სოციალური კონტექსტის ექსპერტულ შესწავლას და ვგეგმავთ ამ კუთხით პროგრესის მონიტორინგს.

ჩვენ ვიმეორებთ ჩვენს ვალდებულებას უმაღლეს განათლებაში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის პრომოუშენთან დაკავშირებით, რომელიც ხასიათდება სწავლების ინოვაციური მეთოდებით - სტუდენტის, როგორც აქტიური მონაწილის, ჩართულობით საკუთარი სწავლის პროცესში. ინსტიტუციებთან, სტუდენტებთან და სტაფთან ერთად ჩვენ წავახალისებთ დამხმარე და ინსპირირებულ სასწავლო გარემოს.

უმაღლესი განათლება უნდა იყოს გახსნილი პროცესი, რომელშიც სტუდენტები განავითარებენ ინტელექტუალურ დამოუკიდებლობასა და პერსონალურ თვითდაჯერებულობას, დისციპლინური ცოდნისა და უნარების პარალელურად. აკადემიური ცოდნისა და კვლევების გზით, სტუდენტებმა უნდა შეიძინონ სიტუაციის შეფასებისა და კრიტიკული აზროვნებით სათანადო ქმედების დამაჯერებელი უნარი.

**ხარისხის უზრუნველყოფა** წარმოადგენს უმთავრესს ნდობის შექმნასა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის შემოთავაზებების, მათ შორის ტრანსნაციონალური განათლების მიწოდების, მიმზიდველობის გასაძლიერებლად. ჩვენ პასუხს ვაგებთ როგორც ხარისხის უზრუნველყოფის საჯარო ვალდებულებაზე, ისე ამ პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ფართო წარმომადგენლობის აქტიურად ჩართვაზე. ჩვენ ვაცნობიერებთ ENQA, ESU, EUA და EURASHE (E4 ჯგუფის) ანგარიშს იმპლემენტაციისა და აპლიკაციას „ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ (“European Standards and Guidelines for Quality Assurance” - ESG)<sup>1</sup> თაობაზე. ჩვენ გადავხედავთ ESG-ს რათა სრულვყოთ მისი სიცხადე, გამოყენებადობა და გამოსადეგობა, მათ შორის მისი ფარგლები. რევიზია დაეფუძნება თავდაპირველ შემოთავაზებას, რომელიც მომზადდება E4 ჯგუფის მიერ Education International, BUSINESSEUROPE და European Quality Assurance Register for Higher Education (EQAR)-თან თანამშრომლობით და მიეწოდება ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს (BFUG).

ჩვენ მივესალმებით EQAR-ის გარე შეფასებას და მოვუწოდებთ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს მიმართონ დასარეგისტრირებლად. ჩვენ უფლებას მივცემთ EQAR-ში დარეგისტრირებულ სააგენტოებს, რომ განახორციელონ საქმიანობა მთელი EHEA-ს მასშტაბით, იმავდროულად ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით. კონკრეტულად, ჩვენ მიზნად დავისახავთ, რომ EQAR-ის მიერ დარეგისტრირებული სააგენტოების ხარისხის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებები, აისახოს ერთობლივ და ორმაგი ხარისხის პროგრამებზე.

ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს საჯარო პასუხისმგებლობას უმაღლესი განათლებისადმი და ვაცნობიერებთ ღია დიალოგის საჭიროებას უმაღლესი განათლების დაფინანსებისა და მართვის საკითხებზე. ჩვენი მიზნების მისაღწევად ჩვენ ვაღიარებთ დაფინანსების შესაბამისი ინსტრუმენტების შემდგომი განვითარების მნიშვნელობას. უფრო მეტიც, ჩვენ ხაზს ვუსვამთ უმაღლესი განათლების ინსტიტუციებში უფრო ეფექტური ხელმძღვანელობისა და მართვის სტრუქტურების შემუშავების მნიშვნელობას. ჩვენ ვალდებული ვართ ჩავაბათ სტუდენტები და სტაფი ხელმძღვანელ სტრუქტურებში ყველა დონეზე და გავიმეოროთ ჩვენი ვალდებულება უმაღლესი განათლების ინსტიტუციების ავტონომიურობისა და ანგარიშვალდებულებისადმი, რაც მოიცავს აკადემიურ თავისუფლებას.

<sup>1</sup> ხარისხის უზრუნველყოფის ევროპის ასოციაცია (2011): "Mapping the Implementation and application of the ESG";

## დასაქმების გაზრდა ევროპის საჭიროებების მომსახურებისათვის

დღევანდელ კურსდამთავრებულებს ესაჭიროებათ ტრანსვერსალური, მულტი-დისციპლინური და ინოვაციური უნარების კომბინაცია და კომპეტენციები, უახლესი საგნობრივ-სპეციფიკური ცოდნით ისე, რომ შეეძლონ წვლილის შეტანა საზოგადოებისა და დასაქმების ბაზრის გაფართოვებულ საჭიროებებში. ჩვენ მიზნად ვისახავთ დასაქმების გაზრდას და კურსდამთავრებულთა პერსონალურ და პროფესიულ განვითარებას მათი კარიერის განმავლობაში. ჩვენ ამას მივაღწევთ დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებით, განსაკუთრებით სასწავლო პროგრამების შემუშავებისას, რაც გვეხმარება კურსდამთავრებულთა ინოვაციის, სამეჩარმეო და კვლევითი პოტენციალის გაზრდაში. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ცვალებადი დასაქმების ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და უმაღლესი სასწავლებლები თამაშობენ ცენტრალურ როლს ცოდნის გადაცემასა და რეგიონული განვითარების განმტკიცებაში, მათ შორის კომპეტენციების მუდმივი განვითარებისა და ცოდნის გაძლიერების ალიანსის მეშვეობით.

ჩვენი საზოგადოებები საჭიროებენ, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში ინოვაციურად და ამისათვის უმაღლესმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს უფრო მტკიცე კავშირი კვლევებს, სწავლებასა და სწავლას შორის ყველა დონეზე. სასწავლო პროგრამები უნდა ასახავდნენ ცვალებადი კვლევების პრიორიტეტს და აღმოცენებად დისციპლინებს, ხოლო კვლევა ეყრდნობოდეს სწავლებასა და სწავლას. ამ კუთხით, ჩვენ შევინარჩუნებთ სადოქტორო პროგრამების მრავალფეროვნებას. „ზალცბურგი II რეკომენდაციები“<sup>2</sup> და ინოვაციური სადოქტორო სწავლების<sup>3</sup> პრინციპების გათვალისწინებით, ჩვენ გამოვიკვლევთ თუ როგორ უნდა წავწიოთ წინ ხარისხი, გამჭვირვალობა, დასაქმება და მობილობა მესამე ციკლში, რადგან დოქტორანტთა განათლებას და ტრენინგს გააჩნია კონკრეტული როლი EHEA-სა და ევროპის კვლევის სივრცეს (ERA) შორის ხიდის გადებაში.

სადოქტორო ტრენინგის შემდეგ, მაღალი ხარისხის მეორე ციკლის პროგრამები არის აუცილებელი წინაპირობა სწავლების, სწავლისა და კვლევების წარმატებით დასაკავშირებლად ერთმანეთთან. ფართო მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და იმავდროულად მკაფიოობის გაზრდით, ჩვენ უნდა ასევე გამოვიკვლიოთ შესაძლო საერთო პრინციპები სამაგისტრო პროგრამებისათვის ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, წინა სამუშაოების გათვალისწინებით<sup>4</sup>.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კონსოლიდაციისათვის სწავლის შედეგების გაზრებული დანერგვა საჭირო. სწავლის შედეგების შემუშავება, გააზრება და პრაქტიკული გამოყენება უმნიშვნელოვანებისა ECTS-ის, დიპლომის დანართის, აღიარების, კვალიფიკაციების ჩარჩოს და ხარისხის უზრუნველყოფის (ყველა მათგანი ურთიერთდამოკიდებულია) წარმატებისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ ინსტიტუციებს, რომ

<sup>2</sup> ეფროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2010): “Salzburg II Recommendations”;

<sup>3</sup> ევროკომისია (2011): "Report of Mapping Exercise on Doctoral Training in Europe – Towards a common approach";

<sup>4</sup> ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2009): “Survey of Master Degrees in Europe”;

კვლავაც დააკავშიროს სწავლის კრედიტები როგორც სწავლის შედეგებთან, ისე სტუდენტის დატვირთვასთან და ჩართონ სწავლის შედეგების მიღწევები შეფასების პროცედურებში. ჩვენ ვიმუშავებთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ECTS მომხმარებელთა გზამკვლევმა<sup>5</sup> სრულად ასახოს მიმდინარე სამუშაო სწავლის შედეგებისა და წინარე სწავლის აღიარების თაობაზე.

ჩვენ მივესალმებით კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავებაში მიღწეულ პროგრესს; მათ გააუმჯობესეს გამჭვირვალობა და გახადეს უმაღლესი განათლების სისტემები უფრო გახსნილი და მოქნილი. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოებიდან სრული სარგებლის მიღება პრაქტიკულად შესაძლოა უფრო დიდი გამოწვევა გახდეს, ვიდრე ამ სტრუქტურების შექმნა. კვალიფიკაციის ჩარჩოების შემუშავება უნდა გაგრძელდეს იმგვარად, რომ ისინი იქცნენ სტუდენტის, სტაფისა და დამსაქმებლებისათვის ყოველდღიურ რეალობად. ამავდროულად, ზოგიერთი ქვეყანა ეროვნული ჩარჩოების 2012 წლამდე დასრულებასა და თვით-სერტიფიცირების თავსებადობაში EHEA (QF-EHEA) კვალიფიკაციების ჩარჩოსთან განიცდის პრობლემებს. ეს ქვეყნები ამ მიზნის მისაღწევად საჭიროებებს ძალისხმევის გაორმაგებას, სხვების დახმარებასა და გამოცდილების გაზიარებას. საერთო გაგება ჩვენი კვალიფიკაციების ჩარჩოების დონეებისა უმთავრესია, როგორც აკადემიური, ისე პროფესიული მიზნების აღიარებისათვის. სკოლის დამამთავრებელი კვალიფიკაციები, რომლებიც იძლევიან უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას, განიხილება როგორც ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF) მე-4 დონე, ან ეკვივალენტური დონე ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან შეზღუდული EQF-ით. ჩვენ კვლავაც ვკისრულობთ ვალდებულებას მიუთითოთ პირველი, მეორე და მესამე ციკლის კვალიფიკაციები EQF-ს მიხედვით შესაბამისად მე-6, მე-7 და მე-8 დონეებად, ან ეკვივალენტურ დონეებად ქვეყნებში, რომლებიც არ არიან შეზღუდული EQF-ით. ჩენ გამოვიკვლევთ თუ როგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული QF-EHEA-ს მიერ მოკლე ციკლის კვალიფიკაციები (EQF მე-5 დონე) და ხელს შევუწყობთ, რომ მიუთითონ ეს კვალიფიკაციები ეროვნულ კონტექსტში იმ ქვეყნებს, სადაც ეს კვალიფიკაციები არსებობენ. ჩვენ ვთხოვთ ევროპის საბჭოს და ევროკომისიას რომ გააგრძელონ ძალისხმევის კოორდინირება იმისათვის, რომ შესაბამისმა კვალიფიკაციების ჩარჩოებმა პრაქტიკულად იმუშაონ.

ჩვენ მივესალმებით მკაფიო მითითებას ECTS-ზე, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოზე და სწავლის შედეგებზე ევროპის კომისიის წინადადებაში ევროპის გაერთიანების დირექტივის პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების რევიზიის თაობაზე. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ ელემენტების გათვალისწინების მნიშვნელობას აღიარების გადაწყვეტილებებში.

### მობილობის განმტკიცება უკეთ სწავლისათვის

სასწავლო მობილობა არსებითია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, სტუდენტთა დასაქმების გასაუმჯობესებლად და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გასაფართოვებლად EHEA-ში და მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ მივიღეთ სტრატეგია „მობილობა უკეთ სწავლისათვის“<sup>6</sup> როგორც დანართი, მათ შორის მობილობის მიზანი, როგორც ჩვენი

<sup>5</sup> ევროკომისია (2009): "ECTS Users' Guide";

<sup>6</sup> ბუქარესტის მინისტრთა კონფერენცია (2012): "Mobility for Better Learning. Mobility strategy 2020 for the European Higher Education Area (EHEA);

ძალისხმევის განუყოფელი ნაწილი ინტერნაციონალიზაციის ელემენტის პრომოუშენისა ყველა უმაღლეს განათლებაში.

საკმარისი ოდენობით ფინანსური დახმარება სტუდენტებისათვის არსებითია თანასწორი ხელმისაწვდომობისა და მობილობის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვიმეორებთ ჩვენს ვალდებულებას ეროვნული გრანტებისა და სესხების სრული მისაწვდომობის თაობაზე მთელი EHEA-ს მასშტაბით და მოვუწოდებთ ევროპის კავშირს რომ მხარი დაუჭიროს ამ მისწრაფებას მისი პოლიტიკის მეშვეობით.

სამართლიანი აკადემიური და პროფესიული აღიარება, მათ შორის არაფორმალური და არაოფიციალური სწავლის აღიარება არის EHEA-ს მირითად მიზანი. ესაა პირდაპირი სარგებელი სტუდენტთა აკადემიური მობილობისათვის, იგი ზრდის კურსდამთავრებულის პროფესიული მობილობის შანსებს და წარმოადგენს ხარისხის ზუსტ საზომს, დაახლოებისა და ნდობის მოპოვებისათვის. ჩვენ მოწადინებული ვართ წავშალოთ წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლიან ეფექტიან და სათანადო აღიარებას და გვსურს ერთობლივად ვიმუშაოთ შედარებადი აკადემიური ხარისხების ავტომატური აღიარების, როგორც EHEA-ს გრძელვადიანი მიზნის, მიმართულებით. ამისათვის ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ გადავხედოთ ჩვენს ეროვნულ კანონმდებლობას, რათა იგი შეესაბამებოდეს ლისაბონის აღიარების კონვენციას<sup>7</sup>. ჩვენ მივესალმებით აღიარების ევროპის სივრცის (EAR) სახელმძღვანელოებს<sup>8</sup> და რეკომენდაციას ვუწევთ მის, როგორც გზამკვლევის, გამოყენებას უცხოური კვალიფიკაციების აღიარებისათვის და საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშად. ასევე, ხელს შევუწობთ უმაღლეს სასწავლებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს რომ შეაფასონ ინსტიტუციური აღიარების პროცედურები შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფაში.

ჩვენ მივიღებვით ღია უმაღლესი განათლების სისტემებისაკენ და უკეთ დაბალანსებული მობილობისაკენ EHEA-ში. თუ მობილობის ბალანსი EHEA-ს ქვეყნებს შორის არამდგრადია ერთი მხრიდან მაინც, ჩვენ მოვუწოდებთ ჩართულ ქვეყნებს მოინახოს ერთობლივი გამოსავალი EHEA-ს მობილობის სტრატეგიის შესაბამისად.

ჩვენ ხელს შევუწობთ უმაღლესი განათლების ინსტიტუციებს ერთობლივი პროგრამებისა და ხარისხების შემდგომ განვითარებაში, როგორც EHEA-ს უფრო ფართე მიდგომისა. ჩვენ შევისწავლით ერთობლივი პროგრამებისა და ხარისხების ეროვნულ წესებს და პრაქტიკას, რათა წავშალოთ თანამშრომლობისა და მობილობის ეროვნულ კონტექსტებში არსებული ბარიერები.

თანამშრომლობა მსოფლიოს სხვა რეგიონებთან და საერთაშორისო გახსნილობა წარმოადგენენ მთავარ ფაქტორებს EHEA-ს განვითარებისათვის. ჩვენ აღებული გვაქვს EHEA-ს მიზნების და პრინციპების გლობალური გაგების გამოკვლევის ვალდებულება 2007 წელს მ

<sup>7</sup> ევროსაბჭო/UNESCO (1997): "Lisbon Convention on the Recognition of Qualifications concerning Higher Education in the European Region";

<sup>8</sup> NUFFIC, ნიდერლანდების ორგანიზაცია უმაღლეს განათლებაში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის (2012): "European Area of Recognition Manual";

„EHEA გლობალურ გარემოში“<sup>9</sup> სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად. ჩვენ შევაფასებთ სტრატეგიის დანერგვის მდგომარეობას 2015 წლისათვის იმ მიზნით, რომ შევიმუშაოთ გზამკვლევი ინტერნაციონალიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. ბოლონიის პოლიტიკური ფორუმები გაგრძელდება როგორც დიალოგის შესაძლებლობა ჩვენს გლობალურ პარტნიორებთან და მისი ფორმატი კიდევ უფრო დაიხვეწება.

**მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება და გამჭვირვალობა პოლიტიკური მიზნების მხარდასაჭერად**

ჩვენ მივესალმებით უმაღლესი განათლების შესახებ მონაცემთა და ინფორმაციის გაუმჯობესებულ ხარისხს. ჩვენ ვითხოვთ უფრო მიზნობრივი მონაცემების შეგროვებას და მითითებას საერთო ინდიკატორებისადმი, კერძოდ დასაქმებაზე, სოციალურ კონტექსტზე, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლაზე, ინტერნაციონალიზაციაზე, სტუდენტური გრანტებისა და სესხების, სტუდენტთა და სტაფის მობილობაზე. ჩვენ ვთხოვთ Eurostat, Eurydice and Eurostudent-ს რომ მონიტორინგი გაუწიონ რეფორმების დანერგვას და ჩაგვაბარონ ანგარიში 2015 წელს.

ჩვენ ხელს შევუწყობთ ნებაყოფლობითი საექსპერტო შესწავლისა და მიმოხილვის სისტემის შემუშავებას იმ ქვეყნებში, რომლებიც ამას ითხოვენ. ეს დაგვეხმარება ბოლონიის რეფორმების დანერგვის დონის შეფასებაში და საუკეთესო გამოცდილების გაზიარებაში, როგორც ევროპის უმაღლესი განათლების გამოწვევების გადალახვის დინამიკური გზა.

ჩვენ ვეცდებით გავხადოთ უმაღლესი განათლების სისტემები უფრო ადვილად გასაგები საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის. ჩვენ დავეხმარებით გამჭვირვალობის არსებულ და გასავითარებელ საშუალებების სრულყოფაში, რათა გავხადოთ ისინი უფრო მეტად ორიენტირებული მომხმარებელზე და ემპირიულ მტკიცებულებებზე დამყარებული. ჩვენ მიზნად ვისახავთ მივაღწიოთ გამჭვირვალობის სახელმძღვანელო გზამკვლევის თაობაზე საერთო შეთანხმებას 2015 წლისათვის.

### **პრიორიტეტების განსაზღვრა 2012-2015 წლებისათვის**

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ძირითადი მიზნების განსაზღვრისას მომდევნო წლებისათვის, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ საქმიანობის შემდეგი პრიორიტეტი 2015 წლამდე.

**ეროვნულ დონეზე, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების ინსტიტუციებთან ერთად, ჩვენ:**

- კარგად გავიაზრებთ 2012 წლის ბოლონიის იმპლემენტაციის ანგარიშში ასახულ დასკვნებს და გავითვალისწინებთ მის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

<sup>9</sup> ლონდონის მინისტრთა კონფერენცია (2007): "European Higher Education in a Global Setting. A Strategy for the External Dimension of the Bologna Process".

- განვამტკიცებთ ხელმისაწვდომობის გაფართოებისა და დამთავრების განაკვეთის გაზრდის პოლიტიკას, მათ შორის ზომებს მიმართულს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობის გაზრდისაკენ;
- ჩამოვაყალიბებთ პირობებს, რომლებიც იზრუნებენ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლაზე, ინოვაციურ სწავლის მეთოდებზე და დამხმარე და შთამაგონებელ სამუშაო და სასწავლო გარემოზე, თანაც სტუდენტთა და სტაფის ჩართვის გაგრძელებაზე ყველა დონის მმართველ სტრუქტურებში;
- უფლებას მივცემთ EQAR-ში რეგისტრირებულ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს განახორციელონ საქმიანობა EHEA-ს მასშტაბით და ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ვიმუშავებთ დასაქმების, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის, პრობლემების მოგვარებისა და მეწარმეობის უნარების გასაუმჯობესებლად დამსაქმებლებთან თანამშრომლობის სრულყოფის მეშვეობით, განსაკუთრებით საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას;
- უზრუნველყოფთ რომ კვალიფიკაციის ჩარჩოების, ECTS და დიპლომის დანართის დანერგვა დაემყარებოს სწავლის შედეგებს;
- შევთავაზებთ ქვეყნებს, რომლებიც ვერ დაასრულებენ 2012 წლის ბოლომდე QF-EHEA-სთან თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების დანერგვას რომ გააორმაგონ ძალისხმევა და წარმოადგინონ კორექტირებული გეგმები ამ ამოცანის შესასრულებლად;
- დავნერგავთ რეკომენდაციებს სტრატეგიისათვის „მობილობა უკეთ სწავლისათვის“ და ვიმუშავებთ ეროვნული გრანტებისა და სესხების სრული მოქნილობის მისაღწევად EHEA-ში;
- გადავხედავთ ეროვნულ კანონმდებლობებს, რათა სრულად შევესაბამებოდეთ ლისაბონის აღიარების კონვენციას და რეკომენდაციას გავუწევთ აღიარების ევროპის სივრცის (EAR) სახელმძღვანელოთი სარგებლობას;
- ხელს შევუწყობთ ცოდნაზე დაფუძნებულ, კვლევასა და ტექნოლოგიებზე აქცენტირებულ აღიანსებს EHEA-ში.

**ევროპულ დონეზე,** 2015 წლის მინისტრთა კონფერენციის სამზადისისა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთამ ერთად, ჩვენ:

- ვთხოვთ Eurostat, Eurydice and Eurostudent-ს რომ მონიტორინგი გაუწიონ ბოლონიის პროცესის რეფორმებისა და სტრატეგიის „მობილობა უკეთ სწავლისათვის“ დანერგვას;
- განვავითარებთ ნებაყოფლობითი საექსპერტო შესწავლისა და მიმოხილვის სისტემას 2013 წლამდე ქვეყნებში, რომლებიც მოითხოვენ ამას და მოვახდენთ უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტების საექსპერტო შესწავლის საპილოტე პროექტის ინიცირებას;
- შევიმუშავებთ წინადადებას ESG-ს განახლებული ვერსიის მისაღებად;
- მოვახდენთ ხარისხის, გამჭვირვალობის, დასაქმების და მობილობის პრომოუშენს მესამე ციკლში, ამასთანავე დამატებით ხიდს გავდებთ EHEA-სა და ERA-ს შორის;

- ვიმუშავებთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ECTS-ს მომხმარებელთა სახელმძღვანელო სრულად ასახავდეს მიმდინარე სამუშაოს სწავლის შედეგებისა და წინარე სწავლის აღიარებას;
- კოორდინირებას გავუწევთ კვალიფიკაციების ჩარჩოების პრაქტიკაში დაწერგვის უზრუნველყოფას, სწავლის შედეგებთან მათი კავშირის ხაზგასმით და გამოვიკვლევთ თუ ეროვნულ კონტექსტში QF-EHEA-ში როგორ უნდა ჩაეწეროს მოკლე ციკლის კვალიფიკაციები;
- დავეხმარებით ქვეყნების გზამკვლევ ჯგუფს საქმიანობაში რათა მოვიძიოთ შესადარი ხარისხების ავტომატური აკადემიური აღიარების გზები;
- გადავხედავთ ერთობლივ პროგრამებთან და ხარისხებთან დაკავშირებულ ეროვნულ კანონმდებლობას და პრაქტიკას, როგორც ეროვნულ კონტექსტში არსებული თანამშრომლობისა და მობილობის შემაფერხებელი ბარიერების დაძლევის გზას;
- შევაფასებთ „EHEA გლობალურ გარემოში“ სტრატეგიის იმპლემენტაციას;
- შევიმუშავებთ EHEA-ს გზამკვლევს გამჭვირვალობის პოლიტიკისათვის და გავაგრძელებთ არსებული და შემუშავების პროცესში მყოფი საშუალებების მონიტორინგს.

EHEA-ს მინისტრთა შემდეგი კონფერენცია გაიმართება ერევანში, სომხეთი 2015 წელს, რომელზეც მიმოიხილება ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე მიღწეული პროგრესი.